საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მარგველაშვილი ვლადიმერ ვლადიმერის ძე

მარგველაშვილი ვლადიმერ ვლადიმერის ძე (დ. 6. IX. 1957, ქუთაისი), სტომატოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1996), პროფესორი (2002). 1981 დაამთავრა თსსი. 1986–95 იყო რესპ. სტომატ. პოლიკლინიკის იმპლანტოლოგიური განყ-ბის ორთოპედი, 1993–2004 – საქართვ. ჯანდაცვის სამინისტროს მთ. სპეციალისტი (ორთოპედ. სტომატოლოგიაში), 1995–98 – სამკურნ. პროფილაქტ. კომბინატის სტომატოლოგიური დეპარტამენტის ხელმძღვანელი, 1998–2002 – თბილ. სახელმწ. სამედ. აკადემიის ქირურგ. და ორთოპედ. სტომატოლოგიის კათედრის პროფესორი, 1998–2022 – სტომატოლოგიური კლინიკა „როიალ დენტის“ კლინიკური დირექტორი. 1994 დააარსა ინდ. საწარმო „ვლადიმერ მარგველაშვილის“ სტომატოლოგიური კლინიკა, 2001-იდან ხელმძღვანელობს თსუ-ის მედ. ფაკ-ტის სტომატოლოგიურ დეპარტამენტს.

მ. არის საქართვ. სტომატოლოგთა ასოციაციის დამფუძნებელი და გენ. მდივანი (2004), საქართვ. ჯანდაცვის სამინისტროს ექსპერტი სტომატოლოგიაში (2004), სტომატოლოგთა მსოფლიო ფედერაციის (FDI) კომიტეტის თავ-რე (2010–13), საქართვ. იმპლანტოლოგთა ასოციაციის დამფუძნებელი, პრეზიდენტი (2010) და სხვ.

მ. არის სამეცნ. ნაშრომების ავტორი.